


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობიც ბეჭდუბი სიფყვას, ფყილებით და ჭებბით ბუბ-თის გაცნა ცვლა უჯრბისბბაჟ უსაბაგლესია.

შაბათი, 4 თებერვალი. 2017 წ. №27 (8164), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თაბი.

საზოგადოების უბახილი:

თუ ხელისუფლება ხარ, ხელისუფლება იყავი!



მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა პირდაპირ განცვიფრებული და აღელვებულიც კია, ასე საეჭვო უპრინციპობით რატომ აჭიანურებს საქართველოს უზენაესი სასამართლო სამართლიანობის აღდგენის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას და „რუსთავი“-2-ის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებას.

ხალხი აშკარად გაბებრდა „რუსთავი“-2-ის ამჟამინდელი თვითმარქვია გავირთამამებული ეგრეთ წოდებული გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ზღვარდაუდებელი თავხედობით,

გაუთავებელი დემაგოგიით, შანტაჟით და ათასგვარი პროვოკაციული ფანდებით, ლიბერალური დემოკრატიით შებორკილი „ოცნების“ ხელისუფლების მიმართ.

ამიტომ საზოგადოების ერთსულოვანი აზრია: თუ ხელისუფლება ხარ, ხელისუფლება იყავი და, რასაკვირველია, კანონიერების ფარგლებში მეტი სახელმწიფოებრივი პრინციპულობით რაც შეიძლება დროულად გადანყვიტე ყველა უმნიშვნელოვანესი საქვეყნო საკითხი.

ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარე ხელისუფლებას ნამდვილად არ ეკადრება ამდენი უსამართლო ლანძღვა-გინებისა და თავლაფდასხმის ატანა!

ქვეყანამაც და ხალხმაც უნდა იგრძნოს, რომ ქმედითუნარიანი მთავრობა გყვავს, რომელსაც მტერ-მოყვრის გარჩევაც შეუძლია და საკადრისი პასუხის გაცემაც.

დრო ნამდვილად აღარ ითმენს, ხელეჩამოშვებულობა და უგერგილობა მხოლოდ ბოროტ ძალებს აძლევს ხელს.

ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება!



ბიკ პოლსაი:
მოსამართლეებზე „ზენოლა“ სააკაშვილის სტრატეგიული გეგმის ნაწილია

სხინვალუი ყველგან მქრთამეობა, კლანურობა და „ფულის მოტეხვა“ გაბეფებული...

რაუი სჭირდება 40 ათას კაცს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და პარლამენტი?



თაოზა

ის მიაჭედეს მამულის რწმენას ქოზის ლურსმენებით!

ნაცონალთა ვირეუბაკობანი და თაგაუი დავნილთა საკითხით

ახალი რეფორმა დავნილავს სასიკეთოდ წაადგება



გვიმრავლუს მუსიკა ჩაბი სზოვრების საზრისია

მსოფლიოს მასშტაბით ბევრი ქართველი ნიჭიერი მუსიკოსი მოღვაწეობს, რაც იმის დადასტურებაა, რომ საქართველოში მართლაც გამოჩენილი და განსაკუთრებული სახელოვნებო სკოლა გვაქვს.

ახალგაზრდა ჩელისტი სანდრო სიდამონიძე ჯერ მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ უკვე უამრავი წარმატება აქვს მოპოვებული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. სანდროს მშობლებიც მუსიკოსები არიან. ამჟამად სანდრო მიჩიგანის უნივერსიტეტის მუსიკალური კოლეჯის სტუდენტი, მანამდე კი, 2006 წელს, გახდა სპივაკოვის პრიზის მფლობელი, 2008 წელს მინვეული იყო ლონდონში პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის რეზიდენციაში მიღება კონცერტზე. 2010 წელს გახდა „amerikan protege“-ის პირველი ადგილის მფლობელი და მიიღო მონაწილეობა გალაკონცერტში კარნეგი ჰოლის სცენაზე ნიუ იორკში. შემდეგ იყო დუბროვსკის სახელობის ვიოლონელისტა საერთაშორისო კონკურსი, სადაც გახდა ლაურეატი. 2014 წელს გახდა პირველი პრემიის ლაურეატი კამერული მუსიკის კონკურსზე თბილისში, ხოლო 2015 წელს საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მე-7 რესპუბლიკური კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი და მიიღო. გავლილი აქვს მასტერკლასები ნატალია გუტმანთან, ვენ სინთან, პეტერ ბრუნსთან, ვოლფგანგ ემანუელ შმიდტთან. აქვს მინვეული კონცერტებსა და ფესტივალებზე.

სანდროს ამ დღეებში ინტერნეტით დაეუკავშირდით.

– სანდრო, მინც როგორ დაიწყო შენი კარიერა მუსიკაში და რატომ აირჩიე მაინცდამაინც ჩელი?

– ჩელიზე დაკვრა 7 წლიდან დავიწყე. მშობლებს ხშირად დავყავდით მე და ჩემი ძმა კონცერტებზე და პატარაობიდან გამორჩეულად მომწონდა ეს ინსტრუმენტი, ალბათ, მისი უღერადობის გამო. დავამთავრე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის და იმ პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი კონცერტებში, ფესტივალებსა და კონკურსებში.

– ვინ იყვნენ შენი პირველი მასწავლებლები?

– ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ მიხეილ ხოშტარია, თამარ გაბარაშვილი, პეტრე ბაგრატიონ-დავითაშვილი და იტალია ჩუბინიშვილი. ძალიან



მუსიკა ჩემი სსოპრანოს საზრისია

სწავლა მთლიანად მიჩიგანის უნივერსიტეტმა დამიფინანსა. რაც შეეხება მაგერიალურ ხარჯებს, მარშან ძალიან დამეხმარა ნიკოლოზ რაჭველი, ასევე – კულტურის სამინისტრო, ფონდი „იანანა“ და ბატონი გია ყანჩელი. მათი თანადგომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აქ სწავლა. წელს კი ნაწილობრივ კულტურის სამინისტროს დაეხმარებოდა.

დიდი მადლიერებით ვისხენებ ყველა მათგანს.

– მიჩიგანის უნივერსიტეტში ვინ გასწავლის?

– აქ ჩემი პედაგოგი გახლავთ სურენ ბაგრატიანი, რომელიც ინტერნეტით გავიცანი და ვოცნებობდი, მისი სკოლა გამეკლო. იგი გახლავთ ჩემთვის ყოველმხრივ მისაბაძი პიროვნება და მუსიკოსი. მისი ყოველი გაკვეთილი ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რადგან ყოველ ჯერზე ვიზრდები და რაღაც ახალს ვიძინ, როგორც მუსიკოსი.

– მანდ ცხოვრების სხვა ტემპია, არ გაგაჭირდა შეგუება?

– საერთოდ არ გამჭირვებია, ალბათ, იმიტომ, რომ საქართველოშიც ჩემი დღე დილის 8

საათზე იწყებოდა და აქაც ასეა.

– რამდენ ხანს მეცადინებ?

– 6-7 საათს. ჩემთვის ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. ამას აქ მივხვდი, რადგან, ერთი წუთიც რომ დავკარგო, იმას სხვა გამოიყენებს და უფრო წარმატებული გახდება. ძალიან დიდი კონკურენციაა. მაქვს ბევ-

რი საორკესტრო და კამერული რეპეტიცია. ჩემი გრაფიკი ძალიან დატვირთულია.

– კონკურსებში ხშირად მონაწილეობ. როგორ ხდება იქ ჩართვა?

– მუსიკოსები თავად ვირჩევთ კონკურსებს, შემდეგ ვაგზავნი ვიდეოჩანაწერს და, თუ მოინებენ, ხდება მინვევა. კონკურსი ძალიან მნიშვნელოვანია მუსიკოსის განვითარებისთვის, იმიტომ რომ ის პროგრამა, რომელიც კონკურსისთვის მზადდება, უფრო შრომატევადია, სხვანაირი სირთულეები აქვს.

– 2016 წელს გერმანიაში მოცარტის ფესტივალზე ახალი ინსტრუმენტი გადმოგცეს...

– ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ეს



ქართულ საფეხრო ინდუსტრიას ახალი სანარკო შეემატა

კომპანია „მატერიალ“ თბილისში ევროპული სტანდარტების თანამედროვე ფაბრიკა ააშენა, სადაც ამ ეტაპზე 250-მდე ადამიანი დასაქმებული და მომავალში ეს ციფრი საგრძობლად გაიზარდება.

თანამედროვე სტანდარტების ფაბრიკა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარია გახსნა. კომპანია „მატერია“, ქართველი დიზაინერების პროდუქციას აერთიანებს და ორ ბრენდს, პრემიუმ კლასის „მატერიალი“, და საშუალო შემოსავლიან სეგმენტზე გათვლილი „დოთსი“ ფლობს. მინისტრის განცხადებით, მსუბუქი მრეწველობის დარგი საქართველოში სულ უფრო ვითარდება და რაც მთავარია, დამატებითი სამუშაო ადგილები იქმნება.

„პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, რომელმაც ძალიან აქტიური მონაწილეობა მიიღო სანარკოების განახლებაში. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ აქ არის წარმოდგენილი წარმოების სრული ციკლი – იდეიდან, მოდერნიზაციის საბოლოო პროდუქტამდე. საკმაოდ დივერსიფიცირებული ბიზნესი აქვთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მომეწონა. მათ ეფექტურად აქვთ აწყობილი ბაზრებზე წვდომის არხებიც. ამ

კომპანიისთვის ექსპორტზე წვედომა პრობლემას არ წარმოადგენს. ბრენდულ მაღაზიებს ხსნიან და ა.შ.“ – განაცხადა გიორგი გახარია.

„მატერიალის“ ბრენდი ექსპორტზე ათამდე ქვეყანაში გადის (შვეიცარია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, რუსეთი, იტალია, ჩინეთი, სომხეთი, ყატარი, ქუვეითი, უკრაინა). კომპანია EBRD-სგან 1 200 000 ლარის ოდენობის ბიზნესსესხის საწარმოო ხაზის შექმნას მოხმარდა. კომპანიის მაღაზიები თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩაზე და ბათუმში სასტუმრო „პილტონში“ მდებარეობს. უახლოეს დღეებში კომპანიის პირველი მაღაზია შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში გაიხსნება.

„მატერია“ უნიფორმებს ქართული ჯარისთვის, საპატრულო და სასაზღვრო პოლიციისთვის, მერიის დასუფთავების სამსახურისთვის, „საქართველოს ფოსტისთვის“, საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრებისთვის კერავს.

„მატერიას“ წარმომადგენლების ინფორმაციით, სამომავლოდ ფესტივალის ხაზის შექმნაც იგეგმება. პოლდინგის მიერ ნაწარმოები მასიური პროდუქცია ექსპორტზე კიდევ უფრო მეტ ქვეყანაში გავა.



საქართველო-იტალია

თანამშრომლობა ფეხბურთის ბრძოლაში

საორტი და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ კახა ქუმბურდიასთან ერთად თბილისში საქმიანი ვიზიტით მყოფ სპორტის იტალიელ ფუნქციონერებს და საერთაშორისო ექსპერტებს – ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილ აღმასრულებელ დირექტორსა და საერთაშორისო სპორტული მარკეტინგის სააგენტოს დამფუძნებელ რომი გაის და ძარიან ავტომობილებში მსოფლიო ჩემპიონატის დამფუძნებელსა და დირექტორს მარჩელო ლოტის შეხვდა.

სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოელი სპეციალისტების ჩართვასა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

ალსანიშნავია, რომ რომი გაის ტურინის „იუვენტუსის“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას 14 წლის განმავლობაში იკავებდა, ასევე მინიჭებული იყო არაბთა გაერთიანებული საამიროების ფეხბურთის ფედერაციაში კონსულტანტის თანამდებობაზე. იტალიელი სპეციალისტის საქართველოში ვიზიტი ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხედვების კიდევ უფრო მეტად დახვეწასა და საერთაშორისო გამოცდილებისა და რჩევების გაზიარებას ემსახურება.



შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს ძარიან ავტომობილებში TCR International-ის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარების თაობაზე. მარჩელო ლოტის თქმით, მის მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ახალი სეზონის პირველი ეტაპი აპრილის თვეში საქართველოში გაიმართოს.

ტარიელ ხეჩიკაშვილი (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი): „ჩვენს იტალიელ მეგობრებთან ძალზე საინტერესო შეხვედრები გავმართეთ. მნიშვნელოვანია, რომ უახლოეს პერიოდში საქართველო უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ეტაპს ავტოსპორტში, რაც დიდი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისათვის და ავტოსპორტის განვითარებისათვის. ასეთი მაღალი დონის შეჯიბრების ორგანიზება ახალბიძგს მისცემს ავტოსპორტის განვითარებას.“

ასევე ვმასპინძლობთ საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე საქართველო ექსპერტს რომი გაის წლების მანძილზე ტურინის „იუვენტუსის“ ერთ-ერთი

ხელმძღვანელი პირი იყო, ასევე მინიჭებული იყო მრჩეველის თანამდებობაზე არაბთა გაერთიანებული საამიროების ფეხბურთის ფედერაციაში ფეხბურთის განვითარების კუთხით. მას დიდი გამოცდილება დაუგროვდა საერთაშორისო არენაზე და მისი ცოდნა, ვფიქრობ, ძალიან დაეხმარება ქართული ფეხბურთის სამომავლო განვითარებას.

რომი გაის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად დეტალურად გაეცნო ფეხბურთის განვითარების პროგრამას, ძალიან მოეწონა და გამოთქვა კიდევ სურვილი თავად ჩაერთოს ამ პროგრამაში, რაც ხარისხობრივად კიდევ უფრო ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელებას. იტალიელმა სტუმარმა მზადყოფნა გამოთქვა თავად მიიღოს

მონაწილეობა სხვადასხვა რეფორმების განხორციელების პროცესში, როგორც გამოცდილების გაზიარების, ასევე უცხოელი ინვესტორების დაინტერესების, საერთაშორისო ტრენინგების გამართვის და სპეციალისტების გადამზადების კუთხით.

ვფიქრობ, მსგავსი საერთაშორისო ურთიერთობები მნიშვნელოვნად წაადგება მთლიანად ქართული სპორტის განვითარებას და ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ გამოცდილებას გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.“

კახა ქუმბურიძე (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): „ჩვენ მართლაც მნიშვნელოვან სტუმარს ვმასპინძლობთ. მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი ფეხბურთის სფეროში იმ მიმართულებით, თუ როგორ განვითარდეს კლუბები, რაც ამ ეტაპზე ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია. მით უმეტეს, იმ მხრივ, რა გზასაც ადგას ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს მთავრობასთან ერთად. ესაა კლუბების გაწევრიანება და რომი გაის სწორედ ამ მხრივ აქვს დიდი გამოცდილება. ჩვენ მზად ვართ აქტიურად ვითანამშრომლოთ და გავიზიაროთ მისი რჩევები და კონსულტაციები.“

კობა კობახიძე

ფარიკაობა

კარტები - პალოვანი



სხვადასხვა ქვეყნის 184 წარმომადგენელი ჩაება პადოვაში დაწყებულ მოფარიკავეთა მსოფლიო თასის პირად-გუნდური გათამაშების მორიგ ეტაპში. საქართველოს ნაკრები ტურნირზე ოთხი მოსმალავით (სანდრო და ბექა ბაზაძეები, ნიკა შენგელია, ვაჟა რეჭია, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე) წარსდგა. ახალგაზრდებში სამგზის ევროპის ჩემპიონი და როოს ოლიმპიადის მონაწილე სანდრო ბაზაძე 16 განთესილ სპორტსმენს შორისაა და წინასწარი შეხვედრებისგან თავისუფალია. 168 მოსმალავე (ქართველთაგან - ბექა ბაზაძე, ნიკა შენგელია, ვაჟა რეჭია) წილისყრით 24 საკვალი-ფიკაციო ჯგუფში (თითოეულში 7-7 სპორტსმენი) გადანაწილდა. გუნდური პირველობისთვის 24 ნაკრები იბრძოლებს.

გივი გაბუა

ჭაფარიტვის კიბაზი



ირაკლი შაფარიტვილი: „სპორტულმა სამყარომ მხარი მე დაიჭირა“

მდევე მხარემ მასში მონაწილეობა საერთოდ არ უნდა მიიღოს, მე კი აუცილებლად მივიღებ“ – განაცხადა ირაკლი მემარიაშვილმა და იქვე დასძინა, რომ ის 57 ხმა, რომელიც მან მიიღო, სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციებიდან იყო და სპორტულმა სამყარომ ლერი საბელოვს მხარი არ დაუჭირა. ადვოკატი როინ მიგრიაშვილის განცხადების თანახმად კი, უნდა გადამოწმდეს, რამდენად სამართლიანად მიიღო რამდენიმე სუბიექტმა არჩევნებში მონაწილეობა და შეეძლოთ თუ არა მთელ რიგ დელეგატებს რეალურად ხმის მიცემა. სეოკ-ის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ უახლოესი ოცი დღის ვადაში უნდა იმსჯელოს. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინანდელ არჩევნებში ხმის უფლების მქონე 135 დელეგატიდან 78-მა მხარი ლერი საბელოვის კანდიდატურას დაუჭირა, ხოლო 57-მა – ირაკლი მემარიაშვილს, ახლახან კი თბილისის საქალაქო სასამართლომ არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ შუალედური გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც მემარიაშვილის სარჩელი განიხილა.

გიორგი შოთაძე

საბრძოლველად

ჩაფარიტვის მსოფლიო ჩემპიონატის წინ

6-19 თებერვალს შეეცარიალი სანტ-მორიცის სამთო მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს (ამ საკურორტო ქალაქში 1934, 1974 და 2003 წლებში მსგავსი შეჯიბრებები, ხოლო 1928 და 1948 წლებში ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართა). პაქერობებში ქართველი სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას. ისინი ამ პირველობისთვის დიდი ხანია, ვეროპაში ემზადებიან, თან საერთაშორისო ტურნირებში ცდიან ძალებს. მაგალითად, ნინო ნიკოლაური ორიოდე დღის წინათ ავსტრიულ სანტ-ლამბერტში უნგრეთის ლია ჩემპიონატზე დაუპირისპირდა თერთმეტი ქვეყნის წარმომადგენლებს. სუპერგიგანტში მან ორჯერ მეხუთე ადგილები დაიკავა, გიგანტურ სლალომში კი ორი ოქროს მედალი დაიმსახურა: პირველი ტურნირი ნინომ წუთითა და 58,03 წამით მოიგო და მეორე ადგილზე გასულ სარა ლისტს (ავსტრია, 1:58,17) 0,14 წამით აჯობა. ასპარეზობის მეორე დღესაც პირველი იყო 2 წუთითა და 00,66 წამით. ვერცხლის მედალი უნგრელ ჩიარა არშპაშს (2:01,03) ერგო, იტალიელი ელენა სანდული (2:01,48) კი მესამეზე გავიდა. ჩვენმა ვაჟებმა სლოვენური სტარ ვრჰში გიგანტურ სლალომში იასპარეზეს. ქართველთაგან საუკეთესო იყო იასონ აბრამაშვილი, რომელმაც 1:45,64-ით მე-14 ადგილი დაიკავა. 18. ალექსი ბენიაძე (1:46,02), 22. სოსო ჯაფარიძე (1:46,36), 29. ბესარი-



ონ ჯაფარიძე (1:47,52). საბრძოლო ადგილები მასპინძლებმა გაინაწილეს: 1. შტეფან ალაღინი (1:42,70), 2. ალჯაზ დეგორნიკი (1:43,09), 3. ფან გროსელი (1:43,41).
ლეონი ცინცაძე

მიტარბის კარსხლუპეუს - ნასწოვი სახეები



საბრძოლველად თასის გათამაშების მორიგ ეტაპს სამთო თხილამურობაში ბაკურიანში უმასპინძლა. სპეციალურ სლალომში მიტარბის ტრასაზე (სტარტის სიმაღლე 2000 მ, ტრასის სიგრძე 1000 მ, კარების რაოდენობა - 45) 49 სპორტსმენი ცდიდა ძალებს. როგორც სხვა შეჯიბრებებში, აქაც ფავორიტებმა გაიმარჯვეს. გოგონები 2001-2002 წ.წ. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1:34,97), 2. ანა მაზმიშვილი (ბაკურიანი, 1:45,14), 3. მარიამ პაქსაძე (აჭა-

რა, 1:47,21); 2000 წ. და უფრო ადრე. 1. კატო გოცირიძე (გუდაურთ, 1:23,54), 2. თამარ ბარბაროანი (ბაკურიანი, 1:24,63), 3. ნინო გელაძე (აჭარა, 2:03,36). ვაჟები 2003-2004 წ.წ. 1. ირაკლი არღვლიანი (სვანეთი, 1:36,20), 2. ნოდარ ჯორბენაძე (ხულო, 1:38,50), 3. მიხეილ ჩართოლანი (სვანეთი, 1:41,29); 2001-2002 წ.წ. 1. თადეოზ ჯაფარიძე (სვანეთი, 1:28,76), 2. ავთო ჯაფარიძე (სვანეთი, 1:31,31), 3. დავით ჩოგაძე (აჭარა, 1:32,56), 2000 წ. უფრო ადრე. 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1:16,30), 2. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 1:17,64), 3. დათო ნაზლაძე (გუდაურთ, 1:18,99). ეს შეჯიბრება ლაშა კურტანიძისთვის, ეკატერინე გოცირიძისა და თამარ ბარბაროანისთვის ძალთა მორიგი შემოწმება იყო ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის XIII ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელიც 12-17 თებერვალს თურქეთის ქალაქ ერზურუმში გაიმართება.
ლაშა ლიდა

უკანონოდ ჩამორთმეული მიწები ფულგებებს დაუბრუნდება

საპარტამენტოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადამწყვეტილებით, პოლიტპატიმარ ნიკოლოზ კვეზერელს და კიდევ 2 დაზარალებულ მოქალაქეს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული დაახლოებით 800 000 ლარამდე ღირებულების მიწის ნაკვეთები დაუბრუნდება.

„დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ფაქტები. კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2010 წლის 7 აგვისტოს, ბიზნეს-მენი ნიკოლოზ კვეზერელი დაკავებულ იქნა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქის ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების გამო.“

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის განაჩენით ნიკოლოზ კვეზერელი ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

განაჩენის გამოტანის შემდეგ მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა ნიკოლოზ კვეზერელს საპატიმრო დაწესებულებაში შეუთვალა და გადასცა კატეგორიული მოთხოვნა, რომ თუ მას სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება და მისჯილი წლების ჩამოკლება, ამისთვის მას სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა დაეთმო დაბა გუდაურში მდებარე 28 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც ბიზნესმენის კანონიერ მფლობელობასა და საკუთრებაში იმყოფებოდა და არანაირი კავშირი მის საქმესთან არ ჰქონდა.

პროკურატურის მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, კვეზერელმა ხსენებული მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ, ციხეში

შედგენილი მინდობილობის საფუძველზე გადასცა სახელმწიფოს, რის შემდეგაც მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და ნაცვლად 11 წლისა, მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2012 წლის 05 დეკემბერის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით ნიკოლოზ კვეზერელი აღიარებული იქნა პოლიტპატიმრად და გათავისუფლდა საპატიმროდან.

* * *

2006 სექტემბერში, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და ნიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“, საქართველოს კანონის საფუძველზე, მოქალაქე

ემუქრა, რომ მიწის ნაკვეთებს მანც წაართმევენ და შესაძლოა, მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაც მომხდარიყო, რასთან დაკავშირებითაც საქმის კურსში იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა.

განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად დაზარალებულმა მოქალაქეებმა სახელმწიფოს სახელზე უსასყიდლოდ გადააფორმეს მათ საკუთრებაში არსებული სოფელ ნალენჯისხაში არსებული მიწის ნაკვეთები.

ჩვენს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადამწყვეტილების საფუძველზე პროკურატურა შეამდგომლობით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხსენებულ დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდეთ ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული მათი კუთვნილი ქონება: ნიკოლოზ კვეზერელს - დაბა გუდაურში მდებარე 2,8 ჰა კვ.მ მიწის ნაკვეთი, შახი ლატარიას - ქ.ნალენჯისხაში მდებარე 10 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო ვახტანგ გოგიბერიძეს - ასევე ქ.ნალენჯისხაში მდებარე 5 ჰა მიწის ნაკვეთი.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, ნალენჯისხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის გია მებონიას მიმართ შეწყდა გამოძიება მისი გარდაცვალების გამო, ხოლო რაც შეეხება პროკურატურის ყოფილ თანამშრომელს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა იმსჯელებს მის მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე.“ - ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



ებს შახი ლატარიას და ვახტანგ გოგიბერიძეს საკუთრებაში გადაეცათ ქ.ნალენჯისხაში მდებარე მიწის ნაკვეთები, კერძოდ შახი ლატარიას 10 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო ვახტანგ გოგიბერიძეს 5 ჰა მიწის ნაკვეთი.

მოგვიანებით ხსენებული ქონება ნალენჯისხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინტერესის ქვეშ აღმოჩნდა, რა მიზნით ნალენჯისხის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გია მებონიამ თავისთან გამგეობაში დაიბარა მოქალაქეები შახი ლატარია და ვახტანგ გოგიბერიძე, რომელთაც კატეგორიულად მოსთხოვა მათ საკუთრებაში არსებული ნაკვეთების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაეცემა. მათი მხრიდან წინააღმდეგობის განცხადების შემთხვევაში კი და-

შორსკოლიანი თუ გაბრუნდა, მტრისას...

...შველგან მოგზავნა. გაარაბით ვიხი, ვინც ხართ ამ აზვავში ჩართული“

„რუსთაველი-2“-თან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას ჟურნალისტი ნანუკა ჟორჯოლიანი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე აფიქსირებს და წერს:

„დიდი ხანია, არ მიაქტიურია „რუსთაველი-2“-ის თემებთან დაკავშირებით. მგელია, მგელიას ძახილი რომ არ გამომსვლოდა, მაგრამ ახლა მართლა მგელია ტყეში, რომელიც ჯერ ჩვენ და მერე ყველაფერს შეჭამს, რაც ამ ხელისუფლების 20/30-მდე არსებობას შეუშლის ხელს.“

ჩარიეს ყველა. ქუჩა, გავლენიანი გვარები, სუსი



და უშიშროების მაღალჩინოსნების გასაგებად მინდა, ვთქვა: რა მეთოდებითაც გვებრძვით, ბუმერანგით იგივეს მიიღებთ. მაგ საგარეოებში ვინც იჯდა, ყველას ეგონა, რომ შეუცვლელი იყო. თქვენც შეიცვლეთ და ყველგან მოგწოდებთ. გვარებით ვინც, ვინც ხართ ამ ამბებში ჩართული. დაშინებულნი განსაკუთრებით.

მაინც შეგახსენებთ, რომ „რუსთაველი-2“-ს ჯერ ბრძოლა არ წაუგია ვიღაცები კი გადაუყოლებია“ - წერს ჟორჯოლიანი.

რუსთაველის გამზირზე მოხდარ ავტოსაგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოწოდება

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 24 იანვარს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მომხდარ ავტოსაგზაო უსაფრთხოების მოწოდება მოხდა. 1993 წელს დაბადებული გიორგი ჯ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიების ფარგლებში დანიშნული ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების საფუძველზე დადგინდა, რომ „მერსედესის“, მარ-

კის ავტომანქანა, რომელსაც გიორგი ჯ. მართავდა, საპირისპირო ზოლში გადავიდა და შემხვედრი მიმართულებით მოძრაობდა, რასთან დაკავშირებით „მერსედესის“, მარკის ავტომანქანებს შეეჯახა. შეჯახების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა „ოპელის“, მგზავრი სოფო ბ. და დაშავდა ოთხი ადამიანი.

საპატრულო პოლიციამ გიორგი ჯ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავა.

სანთელი

შვილები ნინო, კობა საბელაშვილები, სიძე შოთა ურუშაძე, დები ანა, შუქურა, ძმა მურმან დუნდუბი, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუნჯებიან

გულნარა დუნდუბი-საბელაშვილის
გარდაცვალებას
პანაშვიდი 4 II 17 სთ. დაკრძალვა 5 II 14 სთ. გიორგი სააკაძის ქუჩა №3.



შუქურა დუნდუბი-ჯღარკავას ოჯახი უდიდესი მწუხარებითა და გულსტკივილით იუნჯება დის

გულნარა დუნდუბი-საბელაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და სხვა ჩირისუფალთ.

დარეჯან ელიაძე-დუნდუბი, ემა, გულისვარდ, მეგლუდ დუნდუბი, შოთა დუნდუბი, გოგი რუხაძე ოჯახებით მწუხარებით იუნჯებიან ახლობელი სათნო, კეთილშობილი ქალბატონის

გულნარა დუნდუბი-საბელაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და სხვა ჩირისუფალთ.

მარინა კანდელაკი თანაუგრძობს ქალბატონ შუქურას და ბატონ მურმან დუნდუბის და მათ ოჯახის წევრებს დის

გულნარა დუნდუბი-საბელაშვილის
გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე, ზურაბ მსხვილიძე, თემურ მურღულია, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე, ჯემალ ჯიქურაული, ნოდარ მუმლაძე, დავით ქანთარია სამძიმარს უცხადებენ სოსო და ნოდარ ზაზაძეებს დედის

სულიკო მიხეილის ასული ბერიძე-ზაზაძის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, თენგიზ კალანდაძე, ელიზბარ ლომინაძე, პეტრე ბერაია, ბესიკ კილასონია თანაუგრძნობენ ნოდარ ზაზაძეს დედის

სულიკო ბერიძე-ზაზაძის
გარდაცვალების გამო.

თემურ გელოვანის და გრიშა ონიანის ოჯახები მწუხარებით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობრის ლაშა ჩიქვინიძის გამზრდელი

ბაბია
და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. გა-მოსვენება 5 II 14 სთ.

ძალაძი პალდადი

როსა დაავადება უკან იხივს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მილია-პანიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძმალ-სახსროვნ დაბავადებებს: მარტილას, პისრის, მუხლ-სახსრის, მინჯ-ბარძანის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნარკოზს და სხსრების ანთიპაზს; 6. ფხის ტირფის, ძუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული. ნანა მელია-პანიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

ჩვენ ვარ დავთმობთ დამოუკიდებლობას რუსული ნავთობის გამო

რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობა სერიოზულ კრიზისს განიცდის. ამის შესახებ ბელარუსის ლიდერმა ალექსანდრ ლუკაშენკომ მინსკში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, უთანხმოების მიზეზი რუსი მაღალჩინოსნები არიან, რომლებიც სწორად უტყინის პოზიციას არ იზიარებენ.



„უტყინი მეუბნება, ამ ყველაფერს ყურადღება არ მივაქციო, თუმცა ჩვენ ყელში გვიჭერენ ხელს. ჩვენ ვერ დავთმობთ დამოუკიდებლობას რუსული ნავთობის გამო. ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ თავს როგორმე გავიტანთ,“ - აღნიშნა ლუკაშენკომ.

ტანკები ავღანეთში



დონბასში დასახლებული რაიონებისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტს ეუთოს დამკვირვებლებიც ადასტურებენ. მათი თქმით, მხარეებმა მძიმე არტილერიაც გამოიყენეს. ეუთოს მონიტორინგმა ავღანეთში ოთხი უკრაინული ტანკიც დააფიქსირეს, რაზეც უკრაინულმა მხარემ განაცხადა, რომ მძიმე ჯავშანტექნიკა ქალაქში სეპარატისტთა მხრიდან თავდასხმის შემდეგ გადაიტანეს.

თეთრ სახლს მაღალ ღირებულებას შეამოკლავს

აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა მოიპოვა უფლება თეთრი სახლის მთელ პერიმეტრზე უფრო მაღალი ღირებულების აშენების შესახებ. საიდუმლო სამსახურის ცნობით, აშენდება ახალი ღობე, რომლის სიმაღლეც 3,6 მეტრი იქნება. ამჟამად თეთრი სახლის ღობის სიმაღლე 2,1 მეტრს შეადგენს.




მშენებლობა 2018 წელს დაიწყება. აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენციისთვის უფრო მაღალი ღირებულების აშენება მას შემდეგ გადაწყდა, რაც 2014 წელს ამერიკის შეიარაღებული ძალების ვეტერანმა ომარ გონსალესმა კომპლექსის ტერიტორიაზე არასანქცირებული შეღწევა სცადა. ინციდენტს საიდუმლო სამსახურის დირექტორის ჯულია პირსონის თანამდებობა შეენირა. გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები. გონსალესს, რომელიც, ფაქტობრივად, ქმედუზუნაროდ აღიარეს, 17-თვიანი პატიმრობა მიესაჯა.

ლუკრუი შეჭრას შეიარაღებული მამაკაცი სდილოვდა

გამოცემა ფიგაროს ინფორმაციით, დანით შეიარაღებული ახალგაზრდა მამაკაცი ლუკრუი შეჭრას შეეცადა, რის შემდეგაც მას მუზეუმის დაცვამ ცეცხლი გაუხსნა. შედეგად მამაკაცი მძიმედ დაიჭრა. ლუკრუის მიმდებარე ტერიტორია სამართალდამცველებს ჰქონდათ გადაკეტილი. დროებით დაიხურა პალე-როიალ ლუკრუის მეტროს სადგურიც.

ტრამვაი შვარცენგერს დასცინა



ტრამვი და შვარცენგერი ერთმანეთს დასცინიან. თეთრი სახლის ლიდერმა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ კალიფორნიის გუბერნატორის ტელეშოუს კატასტროფულად დაბალი რეიტინგი აქვს. „სელიბრიტი აპრენთისმა წამყვანად კინოვარსკვლავი დაიქირავა, მაგრამ რითიც დასრულდა ეს ამბავი, ყველამ კარგად ვიცით. გადაცემის რეიტინგი, რომელიც არნოლდამდე მე მიმყავდა, კატასტროფულად დაეცა. ეს იქნება გაკვეთილი მათთვის, ვინც ფსონებს ჩემს მონააღმდეგეებზე დებს. მე მისი რეიტინგის ამაღლებისთვის მაინც ვილოცებ“, - განაცხადა ტრამვაი. შვარცენგერის მხრიდან პასუხმა არ დააყოვნა. კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორმა ტრამვს ადგილების გაცვლა შესთავაზა.

დავსუსტდით, ბიჭებო?!

ბოლო 35 წლის მანძილზე მამაკაცები სულ უფრო ნაკლებად მონაწილეობენ ექსტრემალურ ღონისძიებებში, აცხადებენ შოტლანდიელი მეცნიერები. 1970-იანი წლების მიწურულს, ქალებთან შედარებით, მამაკაცები სპორტის ექსტრემალურ სახეობებს 50 პროცენტით უფრო მეტად მისდევდნენ. მათ შორის ისეთებს, როგორებიცაა, კერძოდ, პარაშუტით ხტომა, აკვალანგიტი ყვინთვა ანდა კლდეზე ცოცვა. ამჟამად კი მამაკაცები სპორტის ამ სახეობებში ქალებს მხოლოდ 28 პროცენტით უსწრებენ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე მამაკაცები ადრენალინს არ საჭიროებენ, მათ არ იზიდავთ მძიმე ფიზიკური დატვირთვები. ეს კი, თავის მხრივ, მათ ცუდ ფიზიკურ მდგომარეობას მიანიშნებს.



ოღონდ დღეს არა, კვირფასო!




მამაკაცი, რატომაც, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მამაკაცებს ინტიმურ სიახლოვეზე უარს ეუბნებიან? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის მიღება სცადეს ავსტრალიელმა მეცნიერებმა. საამისოდ კი მათ 18-40 წლის ასაკური შუალედის ქალბატონები გამოკითხეს. უნინარესად აღმოჩნდა, რომ საკუთარ სექსუალურ მიმზიდველობაში ქალების მხოლოდ 30 პროცენტია დარწმუნებული, გამოკითხულთა 18 პროცენტს თავი სექსუალურად მიმზიდველად არ მიაჩნია, რის გამოც თავის პირადულ ურთიერთობებზე საუბარს თავს არიდებს. ქალების 40 პროცენტს ჩართულ სინათლეზე სექსი არ სურს, ამიტომ მათი მოფერება პარტნიორებს სიბნელეში უხდებათ. დაახლოებით ამდენივე ქალიშვილი ინტიმურ ურთიერთობებს მთლად გაშიშვლებული არ თანხმდება. ბევრ ქალს სექსი გადაადარის, ანდა პარტნიორზე წყენის გამო არ სურს. ქალების ყველაზე მცირე რიცხვი კი სექსუალურ ურთიერთობებში ბიორითმების დაცვით შედის, რათა ჯანმრთელობას არ ავნოს.

აბა, ვინაა უფრო მაღალი?

დედამიწაზე ყველაზე მაღალი მამაკაცები დღესდღეობით ჰოლანდიაში ცხოვრობენ, ყველაზე ტანმაღალი ქალბატონები კი ლატვიელები არიან, - ესაა საერთაშორისო გამოკვლევების შედეგები, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ როგორია სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის საშუალო სიმაღლე და როგორ შეიცვალა ის 1914 წლის შემდეგ. ბოლო ასი წლის მანძილზე ადამიანთა საშუალო სიმაღლემ მოიმატა. ყველაზე თვალნათლივ ეს საზღვრეთი კორეის ქალების მაგალითზე წარმოჩინდა: თუკი 1914 წელს მათი საშუალო სიმაღლე 142,2 სანტიმეტრი იყო, 2014 წლისთვის ისინი მთელი 20 სანტიმეტრით გაიზარდნენ და ახლა ეს მაჩვენებელი 162,2 სანტიმეტრს უდრის. მამაკაცებს შორის ყველაზე მეტი სიმაღლეში მოიმატეს ირანელებმა: 100 წელიწადში მათი საშუალო სიმაღლე 157,1-დან 173,6 სანტიმეტრამდე გაიზარდა. ჰოლანდიის, ლატვიისა და დანიის გარდა, ტანმაღალი ხალხი ცხოვრობს ასევე ბელგიაში, ჩეხეთში, სერბეთსა და სლოვაკეთში.



„შეპოქედებითი“ ანტიდაპრესანტაჟი



მხატვრული ტილოების ხილვა სტრესებს ხსნის და გუნება-განწყობას აუზღოებს, ასეთია დიდი ბრიტანეთის ნეირობიოლოგების დასკვნა. მეცნიერებმა მოხალისეებს გარკვეული ხნის მანძილზე ცნობილ მხატვართა ნამუშევრების ცქერა სთხოვეს, რა დროსაც გამოსაცდელთა ტვინის სკანირებას ატარებდნენ. აღმოჩნდა, რომ მხატვრული ტილოების ნახვა ექსპერიმენტის ყველა მონაწილეში ჰორმონ დოფამინის გამოფრქვევას იწვევდა, რომელიც გუნება-განწყობას აუზღოებს და განგაშის შეგრძნებას ამცირებს. ამასთან, საგულსხმოა ისიც, რომ ეფექტი სურათის დათვალიერების დაწყების პირველი წუთებიდანვე დაგეგმვდა. ექსპერიმენტში მკვლევარებმა გამოიყენეს სანდრო ბოტიჩელი „ვენერას დაბადება“, ვან გოგის „ქოხები“, ჯონ კონსტემლის „სოლსბერი“ და სხვები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბაძე ქ. №3 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-13-34 599 36-00-35

გამომცემლობა: შპს „თანამდგომარეობა-1“ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9177223313850011

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუსილებლად ნაიკითხე!

Table with subscription rates for different regions and contact information for the publisher.